



ნ.ბ. დ. არისიძისა

— ახლა კი ნაღვალ გავკეთდი კაცო! შენგაა.
დის კოლხეობისი უნდა გავხსნა!

ყველაფერი ქართულია – საბჭოთა!

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ვინაც ველარ დაუბრუნდა ცოლს და შვილს,
თით დაეცა. ზღომად მტერიც არაქა, —
ყველა ქართველს, — თავგანწირულს
ბრძოლაში,

აფსუს, ერქვას მეომარი საბჭოთა!
საქართველოს რაინდი ჰყავს უხვად ღღეს,
ვინც ერისთვის უმად გაიწირება,
მაგრამ გმირებს — ბენდელიანს, რუხაძეს...
ღღემდე ცნობენ სსრკ-ს გმირებად!
ქართველ გმირთა სახელებსაც ვერ ვითვლით,
ვინაც ბრძოლით გაჰყვეთავდა მთებს,

სერებს...
ასეთ გმირებს რომ ებრძოლათ ერისთვის,
ღღეს ჩვენ აღარ გვერქმეოდა სსრკ!
ჩვენს მომღერალს, ხმით და ნიჭით
გოლიათს,

ცენტრი მისკენ ექაჩება ძალიან
და მსოფლიოს ბევრ ქვეყანას ჰგონია,
ის საბჭოთა დიდი მომღერალია!
ქართველ სპორტსმენს ასაღებენ ვანადა
(აღარა ვართ მეტად ამის მომთმენნი)
ვინც ქართველი კარგი ფალავანია,
აფსუს, ჰქვია მას საბჭოთა სპორტსმენი!
ლაშის ვიქციტე საბჭოეთის სიმბოლოდ,
ქართველები ჩვენს თავს აღარ ვეკუთვნით!
კიდევ კარგი, როგორც იქნა, ამ ზოლოს
დავიბრუნეთ ეროვნული ფეხბურთი!

სიმღერა და ცეკვა უცნოს ვასწავლეთ.
გვიწვივენ და დაგვიძებენ თან ხანთლით.
მაგრამ ქართულ, უნიკალურ ანსამბლებს
ყველგან ჰქვია ღღეს საბჭოთა ანსამბლი!
ვერ ვიშორებთ ჩვენ ამ სახელს შაბლონურს.
ვით საბჭოთა ყოველნაირ მათიას!..

ჩვენი ყურძნით დამზადებულ შამპანურს
„სოვეტსკოე შამპანსკოე“ რად ჰქვია?!
საბჭოთაა ღღეს პოეტი ქართველი,
საბჭოთაა მხატვარი და არტისტი,
უსაბჭოთოდ, თითქოს, არ გვაქვს საშველი,
თითქოს, მართლაც არ ვარგისვართ
არვისთვის!

გვადამებენ სულ „გარდაქმნას“ და
„გლახტნოსტს“,
ამ საბჭოეთს დავანახვით მადლი ვით?!
საბჭოეთით ყველამ კბილი ჩავვასო
და ღღეს ყველა მოგვესია მატლივით!
ძმობის დროშით ყველა ზურგზე შევისვით!
ღროა უკვე, ჩვენც მოვეგოთ ბარემ გონს!
ქართველებო, ჩვენ ვიართ ჩვენი გზით,
სსრკ-მ თავისი გზით გარეკოს!

* * *

ჩვენი როდემდე უნდა ივაქრონ?!
ქართული ყველგან მიმალულია!..
იაპონია მღერის კრიმინალურს.

ისიც საბჭოთა კრიმინალურია!
როდემდე უნდა ვიძახოთ „ვაი“!
ჩვენს ნაოფლარზე ვიდაცა ლხინობს!
ქართულ ღვინოებს და ქართულ ჩაის
ჰქვია საბჭოთა ჩაი და ღვინო!

ლაშის დავავარდოს დარდმა, ფიქრებმა,
რადგან საბჭოურს არა აქვს ზღვარი!..

ქართულ ოქახში მალე იქნება
საბჭოთა ცოლი, საბჭოთა ქმარი,
საბჭოთა რძალი, საბჭოთა შვილი,
საბჭოთა მული, საბჭოთა მასული,
საბჭოთა ცხენი, საბჭოთა ვირი,
საბჭოთა ძროხა, საბჭოთა ძაღლი,
საბჭოთა მკადი, საბჭოთა ყველი,
საბჭოთა პრახი, საბჭოთა ღობი
და ცოლ-ქმარს შორის დაუნდობელი
საბჭოთა ჩხუბი, საბჭოთა ოში!..

კმარა ვინც გულზე ისარს გავარტობდა,
ღროა, მას ხურდა რომ დავუბრუნოთ!
ვინც კვლავ უწოდებს ქართულს საბჭოთას,
იმას დავუდგათ საბჭოთა კუბო!

ვანო ცინცაძე

ნახ. ზ. ფორჩხიძისა



— მიკროფონი არა გაქვთ?
— სულ ასი მიკროფონი მივიღეთ და ათას პარტიას
რას გასწვდებოდა?!
—

ვე თურქეთში მივდივარ!..

ვაროლია

აჩუ, აჩუ, ჩემო ცხენო,
იქით უნდა გავაქენო! —
განა მართლა პატარა ვარ,
ხომ იცი, რომ დიდი ვარ?! —
მიმაქვს თოფი, მიმაქვს „ღრელი“,
ხერხი, ჩვენი თავის მკრელი,
ჩითაჩუთა მიმაქვს ჭრელი
და თურქეთში მივდივარ!..

აქეთ მომაქვს „კურტა“, ქურჭი,
გავაკვირვე ყველა თურქი!
ქვეყნისათვის მეტად ურგი
ვაქარი და ფლიდი ვარ!
ჩვენი ძმები, ქართველები,
მიყურებენ გახელებით,
მაგრამ მაინც არ შეგვრთები,
მესამეჯერ მივდივარ!..

გახსნილია გზა და ხიდი,
იქაც ვყიდი, აქაც ვყიდი!
არავისი არ მაქვს რიდი,
საქმოსანი დიდი ვარ! —
აჩუ, აჩუ, ჩემო ცხენო,
კარგად უნდა გავაქენო,
მაგრამ რისთვის გავაქენო?! —
ღღეს მანქანით მივდივარ!

შოთა როყვა



ნ. მ. აბაშიძის

დაპირება — პირთ კი ამბობ; მაგრამ უპირობისათვის პირს არავინ ავირავს.
გარდაქმნა — ერთი ქოხიდან მეორე ქოხში შექრომა.
ქრიტიკა — ქართველის მიერ ქართველის ცოცხლად შეჭმა ან დაშარხვა.
სკოლა — გაურკვეველი პროცესების ერთობლიობა.
ქალენდარი — შიშველ-ტიტველი ქალების სხვადასხვა პოზების დემონსტრირების ფურცელი.
გაფეთი — რაც გინდა, წერუ და იკითხე!

რედაქტორი

ქართულია ამხუჯულის აყნისხერთი

კამფლავი

დინს, დი ახს ხომ არ გააკვირდა, მკითხველო? სწორედ ჩვენი — ქართველების — ამოწყვეტის სრულიად ახალ, უსისხლო მეთოდს მივანგო ამ სტრიქონების ავტორმა!

„კი მაგრამ, ეს რა მკრეხელობაა, ვის რაში ვირდება ასეთი მეთოდი?“ — გაიფიქრებ ალბათ, ეგრე გგონია? ცდები, ძვირფასო მკითხველო! აბა, მომისმინე!

საყოველთაოდ ცნობილია, რომ ქართველები უაღრესად სტუმართმოყვარე ხალხია. აქ, უპირველეს ყოვლისა, ღვთით მონიჭებულ იმ დიდ უნარს ვგულისხმობ, რომ შეტყეველი სხვა მოდგმის გაპირვებული ადამიანები, უწილადო მათ შინი მიწა-წყალი, მისცე უფლება, ააშენონ შენს მამულში ეკლესია, სინაგოგა, მეჩეთი თუ სხვა რამ ხალაოცავ-სავედრებელი ტაძარი ვინდა არ ცხოვრობს ჩვენს ტერიტორიაზე?!

საუკუნეების წინათ მოსული, ზოგიც — ახლახანს შემოკედლებული. „ცხოვრობენ და იცხოვროს; ბატონო, ვინ უშლით ხელს!“ — ფიქრობდა ქართველი კაცი ოდითგანვე და ხელს კი არ უშლიდა, ყოველმხრივ ეხმარებოდა უცხო ტომის ადამიანებს! სტუმარი ღვთისაა! — ეს იყო ქართველის დევიზი. „თუ მახინძელი არ მღერის, სტუმარსაც მოეწყინება!“ — ასე ფიქრობდნენ ქართველები და ხშირად მაშინაც კი მღეროდნენ, როცა არ ემღერებოდათ!..

მერედა, რა მოგვიტანა სტუმართმოყვარეობის ასეთმა კულტამ? გადაუქარბებლად ვიტყვი — მსოფლიო სახელის აქ, სამაგალითოდ, ქართველ ებრაელებთან ჩვენი ოცდაექვსსაუკუნოვანი მემკვიდრული ურთიერთობაც კმარა! პირდაპირ ხაოცარია ეს მემკვიდრეობა! ქართველებმა დიდი მადლი ქენს, ხოლო იუდეველებმა ბრწყინვალედ დაუფასეს ივერიელებს ქველობა, მაგრამ...

სწორედ ეს „მაგრამა“, ახლა ტვინს რომ უღრღნის და უღუღუღებს ყოველ ქართველს: მაგრამ რა მოხდა, რა დაგვემართა, სად დავუშვიო შეცდომა? ზოგიერთ სხვა ერთიან ურთიერთობაში? მამაქციერმა ზომიციხის, რომ ბიზანსა და ბიზანთ ბიზანს ვიკედლებდით, თვითონ კაქკაქის ბოლოზე დასაჯდომი ადგილი არ გვქონდა, მათ კი უარს არ ვუზუნებოდით სამოსახლო მიწების მიცემაზე, მერე საქმე ისე წავიდა, რომ იმ ბიზნებმა ერთმანეთს შორის დაიწყეს ქართული მიწების განაწილება და ზოგიერთებმა საკუთარი ფალსიფიცირებული რუკების კი შეადგინეს! თქვენ წარმოიდგინეთ, მათ ჩვენს შესახებ საკუთარი ორიგინალური „თეორია“ შეიმუშავეს და საკვეყნოდ განაცხადეს: — ქართველები მოქიფე, დარღვიანი, ზარმაცი და უქნარია ხალხია, ისინი ჩვენს კმაყოფილებაზე არიან, ჩვენ ვშრომობთ და ისინი

კამენ, ჩვენ რომ საქართველოდან წავიდეთ, ქართველები შიმშილით ამოიხოცებიან!

ეგვი მოდი და, ამის გამგონე კაცი, ნუ შეიცვლი საუკუნეობით ჩამოყალიბებულ ტრადიციას! გვეუო სხვების მოფერება, მეტის მოთმენა აღარ შეიძლება, უნდა ავიღოთ ხელი ჩვენს სტუმართმოყვარეობაზე!

თუმცა, ღმერთო შევცოდე, ამას რას ვამბობ, ეს რა სატანა მალაპარაკებს? პირიქით, ჯობს დავიხოცოთ, მაგრამ ღვთით ნაბოძებ გამპრიანობას არ შეველიოთ! ჯობს კიდევ უფრო მეტად გავახაროთ ჩვენი სტუმრები! როგორ? ახლავე მოგახსენებ!

ხომ ყველასათვის ცხადია, რომ ზემოთხსენებული „თეორიის“ შემქმნელი ზოგიერთი სტუმარი ერების შოვისინტი ლიდერები ფრიად დანტერესებულნი არიან ქართველების ამოწყვეტით! ზოდა, ჩვენც უნდა ამოვწყდეთ, ოღონდაც მათ გაიხარონ! მოავარია, სისხლი არ დაიღვაროს! ამაში კი თვითონვე უნდა დაგვეხმარონ ეს ლიდერები! საქმარისია ისინი თავისიანებთან ერთად საქართველოდან წავიდნენ და ერთხანს შორიდან გვიყურონ! როცა ჩვენ ჩვენივე სიზარმაცის გამო შიმშილით ამოვწყდებით, კვლავ დაბრუნდნენ საქართველოში და გააგრძელონ ბედნიერი ცხოვრება ქართველებისაგან ყოველგვარი შევიწროების გარეშე! თქვენ რას იტყვი, ქართველებო, მართალი ვარ თუ არა?

ვიქტორ ჯაფიაშვილი



საქართველო

1919 წლის იანვარი

აღსანი ხეატს გამოკვეთილა ჩემს სოფელს შევფარე თავი. გიყვარდეს. აქაც გვარიანად ცხელა. ვანსაკუთრებით შუადღის გულზე. რომ იტყვიან. პატიოსანი პატრონი ძალის გარეშე არ გაგადებსო. სწორედ ამაზეა ნათქვამი. თუმცა რას შეედრება სოფლის პაერს ქალაქის პაპანაქება. ეს იგივეა. ერთი თითი მღვღარე კურპში ჩაყო და მეორე — მაიცივარში.

სოფელი მაინც დალოცვილია. რა სჯობია ვეება კაკლის ჩრდილში ყოფნას! რომ არ გგონია. ის შეუმჩნეველი სით ხის ფოთლებში მაინც დაცრიატებს და საამოდ გეფოლორცება.

— კაცს თუ მუშაობის ხალისი შეებარება, დილის რიგრაზე უკეთესი დროს ვერც ინატრებს! — რამდენიმე დღეა, ვითომც სხვათა შორის ჩაიდუღუნებს ხოლმე დედაჩემი და ვენახისკენ მიმავალ გზას გახედავს. ვიცი, ამით იმის თქმა უნდა: — გაზულუქებული ხართ ქალაქის ხალხი; დამე — ძილი, დღი-სათ — ძილი! დაუძლურდება ადამიანი, აბა. რა ოხრობა და დოზნა მოუვია!..

— რა დრო უფრო სჯობია სამუშაოზე წასასვლელად? — შევბარე ფრთხილად, თითქოს ომის დროიდან მოკიდებული ერთხელ და ორჯერ დამბებრებია ხელისგულები ბარვისა და თონისაგან.

— ქალაქური ხუმრობაც გისწავლია, — მითხრა მისთვის ჩვეული გამკილავი ხმით. რაღი დაგვიწყებია, დილის რა დროსაა სამუშაოდ წასვლა უფრო ხელსაყრელი, რა გაეწყობა, კიდევ გაგახსენებ: გამთენიანებ მამლის ყვილისას!..

— დადამებინა მამალი ცხრაჯერ ყვიის. ჩვენი მამალი მზის გულზეც ყვიის; სად დავთვალო, მერვედ როდის იყვილებს!

— რადგანაც დრო ვეღარ მოგვიზომია ქალაქელად მონათლულს და საათსაც აღარ ვნდობი, ისევ ბუნებისშვილობას მივნიდე!..

— ეგ ახალი რაღა მოიგონე?

— მერცხლები ბუდესთან ავღურტულდებოდნენ თუ არა. წამოგვისვამდა ხოლმე მამაჩემი და დიდატარიანად ვენახში ან კალოზე გაგვრეკავდა, შენც კარგად გახსოვს, მალალი, ხეჩხეა კაცი იყო. იმაზე მეტს არ შეგძამდა, არ დალევდა. რასაც ორგანიზმი არ მოსთხოვდა!..

— მართალს ბრძანებ, ნანუტ, მართალს. ერთხელ ვუთხარი შაქრო პაპას, ბევრსა შრომობ, დაისვენე-მეთქი! იცი, რა მითხრა, რა პასუხი გამცა? — კაცს შრომა კი არა კლავს, უსაქმრობა და უთავბოლო ღვინის სმა ღუპავს. იმდენი უნდა ჭამო, სტომიპაქუე ქონი არ დაგვდოს. ჩემს ტანზე ასხული ხორცი კიდევაც შებებერება. შრომაში იმდენი უნდა გაიღო, რომ მოკვდები, ჭია-მატლი ვერ მოგეპაროს ხორციის საჭმელად. ჩვენსობას თავის ქალას გავიზომავდით, ნორმალურ ვაჟკაცს მისი ზომის წელი უნდა ჰქონოდა. ვისაც ეს ფორმა დაერღვეოდა, სოფლის გასაკილი ხდებოდა!.. ახლა, შვილო, კაცებმა ქალებს გაასწარილ თეძოების სისქეში, ქვეკერებივით დამრგვალებულიები დადინართ!

იმ ცხონებულმა ისიც დასძინა: — მუხლებზე მუცელგადმოდებული კაცისგან ჭერ ქვეყანა არ აშენებულაო!

აცხონა ღმერთმა! მისმა შეგონებებმა ბევრი რომ ცხოვრებისეული მასწავლა.

— კარგია, მამაჩემი დაგხსომებია. დილის გარჩევა რაღამ გადაგიწყია?

— ე, ნანუტ, ნანუტ! შენ გგონია, მართლა რაიმე დამავიწყდა? არც იფიქრო! მაძალე, ქალაქურ პაერს გამოვდევნი ფილტვებიდან. ავცევა ბერე დილის რიგრაზე მერცხლების

ელურტულს. წავალ ვენახში. ვფურჩნი, ვწამლი. ვითხნი რამდენიც გინდა. როდემდეც გინდა! ისიც მახსოვს: „თუ არ გინდა დაისიხო, დილის მზე შუბისტარზე წამოჭდება თუ არა. მოკურცხლე სახლისაკენ!“ ესეც შაქრო პაპას რეცეპტია. წაუსვენე, წერე და იკითხე. ვიდრე ეზოში საღამოს ნიაფი არ შემოიციკემებს!

მე თუ მკითხავთ და პაპაჩემის ანდერძად დატოვებულ გამოცდილებასაც გაიზიარებთ, ქალაქელ შრომისუნარიან ადამიანებზე საერითოდ არ უნდა გაიცეს კურორტების საგზურები!.. წადით, ბატონო, სოფელში! თუ ჩემსავით ვენახ-მამული არ გაგაჩნიათ, შეიძინეთ! წინათ ქალაქად წასულები ვიდრე სოფლიდან არ ამოძირკვეს, არ წაართვეს. თუ რაიმე ებღაბო, არ მოუგენენ! მაღლობა ღმერთს, დრო შეიცვალა და ახლა იქით გვეხვეწებიან: წადით, სოფლებში დასახლდით, ხელი გაატოკეთო!

ამას წინათ მთავრობის თათბირზეც თქვეს: ნამეტანი ვავსქედით, თავს მიხედით, ივარჯიშეთო!.. ჩანს. პაპაჩემის ნათქვამმა გვიან, მაგრამ იქაც მიალწია.

ჰოდა, თქვე დალოცვილებო, წამოდით ჩემსავით სოფლებში! ამით კურორტებსაც ეშველება, იქ წამსვლელი ხალხი განახევრდება. ბოლოს და ბოლოს, დილით გამოძღვიებლისა და მაფხიკულტურავებლის შტატი ხომ მაინც შემვირდება? ესეც საქმეა!

შეიძლება ვინმემ მითხრას: — შენ, ძმაო, მამაპაპური სახლ-ბაღ-ვენახი გქონია, თავი ქულში გაქვს და ადვილად ლიკიკებო!

კი ბატონო, მართალი ბრძანდებით. მაგრამ, სოფელში ჩამოსვლას ვინ დაგიშლით? აი, მაგალითად, კახეთში რომელ სოფელშიც გნებავთ, შედით, მდიდარსა და გაზულუქებულს კი არა, ნაღდ გლუხს სთხოვეთ, ერთი თვე მინდა შევბუღებთ სოფელში გავატარო, ცოტას თოხში და ვენახის მოვლაში წაგებხარები-თქო. მაშინვე ბინის ზედა სართულს დაგიმობთ. ქვედაში კი თავისი ჯალაბით დაბინავდება და ბინის ქირაზეც უარს გეტყვით. გლუხი ჭკვიანია, შორსმჭვრეტელი. იცილებთ, რომ თქვენთვის ბინის დათმობით ორი კარგი საქმე უპაე გააკეთა: შენც გაგახარა და, ძველი მამითადისა არ იყოს, საქმეზე ხელის წამკერელიც იშოვა. მეორე და, რაც მთავარია, ქალაქში გაქსუებულ თავის შვილს მაგარი კოკი გაუფორა: — შე ბრიყვო, ჩამოდი, ჩამორეკე ცოლ-შვილი, ხედავ, სოფელში სადგომს დაეძებენ ქალაქელებიო! გლეხი მართალია და არც გაუმტყუნება!

აგარაკებზე წასვლას. იქ ტოლარბი უმჯობესია ნის ვარჯიშობას სოფელში უქმად შრომა სჯობია. სასარგებლოცაა. თუ ისეთ გლუხთან გაჩერდით, მამულ-დედულში საქმე რომ მოლთავებია. გული არ დაგწყედეთ. მიდგეთ-მოლთავით. სოფელში საქმეს რა გამოლევს? გაყვანი ხალხს ნაკვეთებში და იმუშავე. რამდენიც გინდა. თუ შენი ნამუშევრის ფულად ანაზღაურებზე უარს იტყვი, ამით ხომ ენით აუწერელ კმაყოფილებას მოპვერი ბრიგადირს, რომელსაც მკედარი სულების გამამართლებელი ცოცხალი მაგალითი ეყოლები. ერთი სიტყვით. სოფელში დასვენება თქვენთვის უოველმხრივი ხელმისაწვდომად და სასარგებლოდ მიმანჩია!

შეიძლება ძალიან გაგიტყბეთ მუშაობა, რა ვიცი, კაცი ვართ, ამ ქვეყანაზე რა არ ხდებია! ყოველი შემთხვევისათვის, თუ მართლაც გაგიტყბათ სოფელში ყოფნა და, სამწუხაროდ, როგორც ხშირად ხდება, რაც გულით გინდათ, მალე თავდება. შემიძლია გაგანდოთ შევბუღების განხატვილებების ერთი საიღუმლოც. მართალია, ეს მეთოდი მე საკუთოთ თავზე არ გამომიცდია. მაგრამ მას ფრად აქტიურად და წარმატებით იყენებს ჩემი ერთი თანამშრომელი. მეთოდი უბრალო, მარტივია. თქვენს შორის გრძელი შევბუღების თითოეულ მსურველს ადვილად შეუძლია მისი მოგვარება, გამოყენება.

თუ ქულში დაგიჩდეთ და გსურთ შევბუღების გორმავება, აი, ის მარტივი მეთოდის: გავალთ თუ არა შევბუღებამი. გამოძენეთ მეგობარი ექიმი ან, სულ ერთია. მეგობარი იქნება თუ კლინიკისა. მნიშვნელობა არა აქვს. მეორე დღიდანვე გადადით საავადმყოფო ფურცელზე. ამით უკვე თავი ქულში გაქვთ! წადით სოფელში, დაისვენეთ, იშრომეთ, ისეირნეთ, კრიფეთ სოკო. მზინდი, ითვეზავეთ! ამ უქანასქენლმა სპორტმა არ დაგაფიქრო, ჩვენი წინაპრები რომ გვეუბნებოდნენ, რომელი თვეშიც „რ“ არ ურევია, იმ თვეში თვეში არ დაიჭირება, არ იჭმებო! ახლა ვინდა უყურებს „რ“-ს? წადით ხევივის სათავეებში და ნახავთ, რას შერევიან ბრაკონიერები, რომ არ ანადგურებენ თევზს — დენით, ქლორით, ნალმით, შხამით!.. ახლა ბადეს მარტო იქ ამავრებენ, სადაც წყალმა გულგახეთქილი თევზები უნდა გაატაროს.

თავის მართლების მიზნით, ერთმა ისიც მითხრა: — სულ არ მინდა ეს ბრაკონიერობა, მაგრამ რა? ეს რაიკომი, მილიკომ, „ოზეხე“, პროკურატურა, კვირა არ გავა, რომელიმე მათგანს ან მათიანებს დაბადების დღე, ლხინი ან ჭირი არ ჰქონდეს. ასე რომ არ იყოს, პატიოსანმა ხალხმა მართლა იცის დრო და წესი. ეს თარისი „რ“ რომელ თვეშიც არ ურევია, მშრალზე ვზივართ!..

მოკლედ, მე ჩემი გითხარით, გაგათვით-ცნობიერეთ და თქვენ როგორც გსურთ და გიღრმდეთ, იმ სინდისით იარეთ! ნურც მაინცდამაინც ის ავადყოფებთ, ახლა სხვა დროა, გარდაქმნაა, ყალბი საავადმყოფო ფურცლით ჩავვარდებით. ოც წელზე მეტია ჩემი თანამშრომელი ყოველ წელს მაგ მეთოდით ისვენებს. იმას ხომ ჰყავს დაბამული კლინიკის ექიმი, თქვენ რა, გაგიჭირდებათ? ნახვამდის, გისურვებთ დასვენებას!



სოლომონ ლავაური

„სინარული კაპიტალიზმის“

გაგონი

მშვენივრად ნაჩვენები ჩვენი „გრანდიოზული წინსვლით“ გამოწვეული ყველა „სინარული“ იმ პატარა პამფლეტში, რომელიც შემოგვთავაზა საჩხერის რაიონის სოფელ ბაჭთის არასრული საშუალო სკოლის ისტორიის მასწავლებელმა ბაბო ხვედელიძემ („ნაინგი“ № 8, 1990 წ.) და ის შედარება კაპიტალისტურ სამყაროსთან, რომელსაც არ შეუძლია განიცადოს ამა თუ იმ დეფიციტური საქონლის შეძენით გამოწვეული სინარული!

ამ პამფლეტში მარტო ერთი შეცდომაა დაშვებული: დღეისათვის ნიკიტა ხრუშჩოვის ნათქვამი: „პორიონტზე კომუნისმი მოჩანსო“, ორი ათეული წლისა კი არა, სამ ათეულ წელზე უხნისია! ეს სრულიად გულწრფელად ნათქვამი ფრაზა დღესაც მწარე ღიმილით გვახსენდება!

ამიტომ თანამედროვე პირობებში სიტყვა „კომუნისმი“ საერთოდ ამოხალება ჩვენი ლექსიკონიდან, ვინაიდან მრავალი წლის შრომით მოპოვებული სოციალიზმიც ფიქტია ყოფილა და, აბა, რომელი კომუნისმის დადგომაზეა ლაპარაკი?

ის კი არა და, აგერ იმდენი კოოპერატივი გაიხსნა და სოკობივით ისე მრავლდებიან, რომ უფრო კაპიტალიზმის მოლოდინი უნდა ვიქონიოთ და შემდეგ დავიწყოთ ახალი ფორმაციების ძებნა, რადგან, თუკი „კაპიტალიზმი სოციალიზმის წინააღმდეგ“, ყოველ მომდევნო თაობას მოუწევს ახალი „გლასნოსტებისა“ და „პერესტროიკების“ ჩატარება და ახალ-ახალი „სინარულის“ შეგრძნება!

თენგიზ თომაძე,

საქართველოს კულტურის დამსახურებული მუშაი.

სანამ სერგო მოვიდოდა, კავლეს ტყავი გააპვრესო!..

ფელატონი

ამ ანდაზაში რომ „სერგოს“ ნაცვლად „პეტრე“ უნდა იყოს, კარგად ვიცი მეც, მაგრამ ბოლომდე როცა ვიტყვი სათქმელს, მაშინ მიმიხედებით, საანდაზოდ და საფორიზმოდ რომ არ მქონია საქმე!

ერთ ჩემს მეგობარს საშვიდნოებროდ თურმე ცხელი წყალი გამოუტრეს!.. უმაღვე დაურეკავს საქაბეში: — რას სჩადიხართ?! ხეალ რეგულუციის გამარჯვების დღესასწაულია და თქვენ ცხელ

წყალს გვირთავთ?! იქიდან უკითხავთ: ცივი წყალი თუ მოდისო?! — თბილისიო! — მიუგია იმ ჩემს მეგობარს რიხიანად.

კი მაშინ, ნახევარ საათში ყველაფერი რიგზე იქნებო! უსტად ნახევარ საათში ცივი წყალი შემწყდარა!.. ანალოგიური რამ ჰდება ქუთაისის სატელეფონო სადგურებშიც უხეირო მუშაობის მხრივ სხვებს როდი ჩამორჩებიან. მაგრამ სხვაგან თუ გოჯი-გოჯ მინც წინ მიდის საქმე, ან ერთ ადგილას დგანან, ქუთაისში „ორიგინალურად“ მუშაობენ — უკან-უკან მიდიან! კერძოდ, სანამ კავშირგაბმულობის საქალაქო კვანძის უფროსად პავლე იყო, ტელეფონი დღე-ღამეში 2-3 საათს მინც მუშაობდა! რასაკვირველია, ვიჩივლეთ, რამდენიმე საათს რომ მუშაობდა! რამდენიმე საათს თუ მუშაობს, ცოტა ხანში ახალ უფროსს დაგინიშნავთ და ყველაფერი რიგზე იქნებო!

მართლაც მალე დაგინიშნეს ახალი უფროსი სერგო!.. და აგინდათ ყოველივე კი: „რიგზე“ ჩვენი საქმე — ახლა ტელეფონებმა საერთოდ გაკმინდეს ხმა!..

ტიტა ქავთარაძე
(ქ. ქუთაისი)

ანგანთხელაკარაკება

ანმა თქვა: „მე ვარ პირველი, ფარნაოზ მეფის დროიდან, აბა, უნს ჩემთან რა ეთქმის?! — ყველაზე გვიან მოვიდა! სანამ ვახტანგი ტახტს იჯდა, მეც ვიყავ მეფე ქებული, შევამეკე ბევრი ხბოს ტყავი, ბევრი წიგნი და კრებული!“
უნმა: „მეც ვარა ყოფილხარ, თავმოპოვონე და დიდგულა, ე. ი. ო-ს ხათრიც აღარ გაქვს, ასე რამ გააგაიღებულა?! როგორ გმობ ხუთი ხმოვანის ძმობის, ერთობის ძალასა! მე მეგობრობა მაკავებს, თორემ დაგხვდები ქალასა! ფარს ვიწვევ, გირცხვენ წვირ-ულვაშს, ამხანაგო უარმყოფელო! ფუ, თანხმონების სიკოცხლის ბოროტად ხელისმყოფელო!“
ანმა თქვა: „მეც არ ველოდი ასეთსა გულის ტკენასა, მეორე ადგილს ვიკავებ, გახედეთ დროთა დენასა! ვით მოადგილეს, სხვა ვინმე მილანძლავს, განმიქიქია?! ანხანი რაკი გვიწოდეს, ვერიდოთ ერთუთო წყენასა! ყური მივუგდოთ მეზობელ მოძმეთა გულის ძეგრასა! მივყვით ერთმანეთს ფეხდაფეხ, განზე ნურავინ გავდგებით, ვეხლოთ ერთმეორეს, რამეში გამოვადგებით, თორემ თანხმონთან გარეშე რუხთველიც ვერას იქმოდა! — „ვეფხისტყაოსნის“ მაგივრად ა. ე. ი. ო. ფ-ს იტყოდა!“

ივანე ჯავახიძე



ნ. ჯ. ლოლუხანი — ეს კაცი ვერაფერმა ვერ გაასწორა და იქნებ სა- მარე გაასწოროს!



ნ.ს. ზ. ფორჩხინისა

— ეს საპონი მაინც რამ გაწყვიტა?!
 — ამ ბოლო დროს რაც ძველი ცხოვრების წესიხან ხელის დაბანა დავიწყეთ, რა საპონი გვეყოფა?!

საქსეყრა ეკონომი

კბილის ექიმი და კრივი

— ჩემი აზრით, კრივი სპორტის ერთ-ერთი საუკეთესო სახეა!
 — თქვენ რა, მოკრივე ბრძანდებით?
 — არა, კბილის ექიმი ვახლავართ!

რაც მამბა, ის უვილია!

— გახსოვს, მამა? ახალგაზრდობისას შენც ვკრივი ვალედი!
 — ჰო, მაგრამ მაშინ მამაჩემი იხდიდა მათ!

ბავშვური მინამიტობა

ერთმა სტუმარმა ქალმა მახანძკლის ბავშვს პკითხა:
 — როგორ ხაათზე ხადილობთ, ჩემო ძვირფასო?
 — დედამ თქვა, მაშინვე ვიხადილებთ, როგორც კი თქვენ წახვალთ.

დაგზავნიკვალი პასუხი

მ გ ზ ა მ რ ი: — პირდაპირ აუტანელია! რა საჭიროა მატარებლების მოძრაობის განრიგი, თუ იხინი მუდამ იგვიანებენ?

ს ა დ გ უ რ ი ს მ ო რ ი გ ე: — მატარებლები თუ განრიგით იმოძრაებენ, მაშინ რაღა საჭირო იქნებოდა მოხადელი დარბაზები?

უალბი ანონსი

ბატონი ბ რ ა უ ნ ი დილის ვაზეთში თავისი სიკვდილის შესახებ ანონსს კითხულობს და უმაღ ტრეფონით უკავშირდება თავის მეგობარს:
 — ებ, სმინტ, წაიკითხე ანონსი ჩემი სიკვდილის შესახებ?
 — ჰო, მაგრამ ხადან მელაპარაკები?

ფრანგულიდან თარგმანა
 იონა ბაღვაშაძემ

ზესტაფონური ანექლოტაჟი ბადრიაზა

ბადრიამ ქვევრიდან ახალმოღლებული ღვინო სტუმარს გაუწოდა. ღვინო იმწამსვე გაშავდა!
 — რა მოუვიდა, კაცო, შენს ღვინოს?! — იკითხა სტუმარმა.
 — გაუცხოვართ, ბატონო, და სირცხვილით გაშავდა! — იმართლა თავი ბადრიამ.

ბადრიამ ცალი ფეხი მოიტეხა. ბიულეტენის ფული ნი მანეთი ეტკო.
 — ნეტავ, მეორე ფეხიც მომტეხოდა, 100 მანეთს მივიღებდიო! — ინატრა ბადრიამ.

ბადრიას მეზობლის ძაღლმა ქათამი შეუჭამა.
 ბადრიამ მეზობელს კანფეტი გადაუტანა და უთხრა:
 — ეს შენს ძაღლს მიეცი, ცოდვია, უღვე სერტოდ არ დარჩენოს!

ბადრიას უთხრეს, — აწი საქართველოს პირველობა იქნება ფეხბურთშიო!
 — რაც შე იმათ ვაგინებდი, ვილას ვაგინო აწი მე?! — თქვა გულმოსულმა ბადრიამ.

— გარდაქმნა გადამწყვეტ ფაზაში შედის და გვეშველება აწი! — უთხრეს ბადრიას.
 — კი, როგორ არა, როსოყანი თონის ნაცვლად თონოყანი თონი იყიდება! — უპასუხა ბადრიამ.

ბადრიას კოლმეურნეობის თავმჯდომარეობა შესთავაზეს.
 — რაც გასანადგურებელი იყო, გაანადგურეთ და ახლა შე გინდათ დამაბრალოთ?!

— რა მალე ჩამოთოვია.. შეშა მაინც დამემზადებინა?! — შესჩივლა ბადრიამ ცოლს.
 — არა, კაცო, თოვლი დეპეშას გამოვიტყავინადა, მოვდივარ, ბადრია, და შეშა დამაშადეო! — უთხრა გაბრაზებულად ცოლმა.

ბადრია მალაზიაში მუშაობდა. ერთხელ რევოზორი ეწვია.
 — რატომ ვაჭრობ „ლევა“ საქონლით?! — უთხრა რევოზორმა.
 — აბა, რა ექნა, ბატონო?! „პრავი“ საქონელი არ შემოდიხი..

შეკობა: პრემილი ბაღვაშაძემ



ერთ ქუთაისელს უნატ-
რია:
— აღენ დედონის „როჟა“ მომ-
ცა და ჩემი გაგებოა!

ბიჭი შინ გვიან დაბრუნდა:
— სად ბრძანდებოდი?!
— მიტინგზე!
— თუ იცი, რა დროა ახლა?!
— რაო, მამაჩემო, არც შენ მოგ-
წონს ეს დრო?!

ბინაში რადიატორი გასკ-
და. საქვაბიდან ხელოსანი მოიყვა-
ნეს. დახედა დაზიანებას და განა-
ცხადა:
— სანამ მთელი სისტემა არ გა-
მოიცვლება, არაფერი გეშველება-
თო!

ცენტრალურ პრესაში სი-
მართლედო სამხარაოდ არის წარმო-
დგენილი: „პიონერსკაია პრავდა“,
„კომსომოლსკაია პრავდა“ და
„პრავდა“. აი, ჭეშმარიტი სიმართ-
ლე კი ვერახვლით ვერ წარმოუდ-
გენიათ. ამ შემთხვევაში ვერ
იტყვი: „პრავდა“ სხვაა, „პიონერს-
კაია პრავდა“ სხვაა, „შუა უზის...
„კომსომოლსკაია პრავდაო!“

პარტიაში, ერთ-ერთ აუქცი-
ონზე, საბჭოური ახმანეთიანი გა-
მოყვანილი გახაყიდალ.

— სამოცდახუთი სუ!
— სამოცდახუთი სუ — ერთი!
სამოცდახუთი სუ — ორი...
— ოთხმოცი სუ!
— ოთხმოცი სუ — ერთი! ოთხ-
მოცი სუ — ორი...
— ოთხმოცდათხუთმეტი სუ და
თქვენც სუ და მეც სუ!
... საბჭოური ახმანეთიანი ოთხ-
მოცდათხუთმეტი სულ გაყიდულა!

ხვად ლომს თხუთმეტი ძუ
ლომი შემოუკრებია და მრისხანედ
დაუბუხუნებია:
— ჩემამდე ხმები მოდის, თით-
ქოს ზოგიერთ თქვენგანს ჩვენი
ოქახიდან გავხლა მოუსურვებია!
ვინც ამ ჭკუაზეა, ჩერ ხუთი წლის
განმავლობაში ექვსასი მსუქანი
ზებრა გადამიხადოს და გავუშვებ
თუ არა, მაგაზე მეტი ვილაპარა-
კოთო!..

70 წლის მანძილზე ქვეყნის,
საზოგადოების, იდეოლოგიის ერ-
თიანმა ლენინისა ციამ ხა-
სიკეთო ვერაფერი მოგვიტანა! ახ-
ლა დე ლენინისა ციის ნიშ-
ნები გამოჩნდა და ვნახოთ!..

გაიგონ-მოიგონა
თამაზ ებანოიძე

«სიანკს» ეპოსებზე

მურნალ „სიანკის“ მთავარ რედაქტორს
აბხ. ზ. ბოლქვაძეს

ბატონო ზაურ!
თქვენი მურნალის ა/შ 4-ე ნომერში სათაურით „ბიუროკრატი-
ული ტირი“ დაიბეჭდა ფელეტონი, რომელიც ეხებოდა საქართველოს
პოლიტექნიკური ინსტიტუტის ყოფილ ასპირანტს ო. გოგილაშვილს.
ინსტიტუტის რექტორი არ ეთანხმება ფელეტონში საკითხის
ამგვარ გაშუქებას.
გთხოვთ, თქვენი მურნალის უახლოეს ნომერში გამოაქვეყნოთ
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პასუხი.

პრორექტორი სახწავლო დარგში, პროფესორი დ. ჩხეიძე
12. 04. 90 წ.

მურნალ „სიანკის“ რედაქციას

დიდად პატივცემულ რედაქციავ,
ჩვენი წერილი თქვენი მურნალის ფურცლებზე მიმდინარე წლის
მეოთხე ნომერში დასტამბულმა ფელეტონმა გამოიწვია, რომელსაც
რატომღაც „ბიუროკრატიული ტირი“ უწოდებთ და „საქართველოს
პოლიტექნიკური ინსტიტუტის“ ყოფილი ასპირანტის ონისე გიორგის
ძე გოგილაშვილის უსასრულო საჩივრებს შეეხება. თქვენი ფელეტო-
ნი წამოიჭრა მართლაც, გაოცდება იმ უსამართლობით, რაც მას
თითქოს და წარსულში საქართველოს პოლიტექნიკურმა ინსტიტუტმა
დაატეხა თავს და რასაც დღეს აგრძელებს საქართველოს ტექნიკური
უნივერსიტეტი. მართალი კაცი დაჩაგრულა, ქვეყნად სამართალი ვერ
უპოვნია. როგორც პროფესორმა, ქვეყნისათვის დამზერალა — უსწავ-

ლია, უმაღლესი დაუმთავრებია, ასპირანტურაც, რუსეთშიც წასულა
და დისერტაციაც მოუშაღებია, ხოლო შემდეგ მშობლიურ უმაღლეს
სასწავლებელს ახლოს აღარ გაუკარებია. ამ ფონზე, მართლაც, დიდ
ბოროტებად წარმოჩნდა საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის
(საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის) პოზიცია და ამიტომაც
გავხლდით ჩვენში ფრიად საპატივცემულო და ავტორიტეტული მურნალ-
ის სამიხნე. მაგრამ ნამდვილად ასეა? ნამდვილად გავწირეთ, ნამდ-
ვილად დავეუკარგეთ რესპუბლიკას კაცი, შესანიშნავი გამოგონების
ავტორი? რასაკვირველია, არა, ბატონებო, თქვენს ფელეტონში ო.
გოგილაშვილის „საკითხის“ თქვენეული ისტორიაა წარმოდგენილი.
საქმის არსი კი შემდეგშია:

ო. გოგილაშვილმა საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის
ასპირანტურა 1985 წლის 1 დეკემბერს დაასრულა. იგი ამ დროს ლე-
ნინგრადში საინჟინრო-სამშენებლო ინსტიტუტში იმყოფებოდა მიე-
ლინებით, სადისერტაციო ნაშრომის დასასრულებლად. მას მივლინე-
ბის ვადაც გაუვიდა, ასპირანტურაში სწავლისაც, მაგრამ ჩვენს ინს-
ტიტუტში 1986 წლის ივნისამდე საერთოდ არ გამოცხადებულა, არც
რაიმე გამამართლებელი საბუთი წარმოუდგენია. ამისდა მიუხედავად
მის საქონიდად დისერტაციას 1986 წელს მაინც მიეცა მსვლელო-
ბა. მაგრამ იქვე ეცნობა, რომ მას, როგორც ასპირანტურადამთავრე-
ბულს, სამუშაოზე არ განაწილებდნენ. ო. გოგილაშვილს ამის გამო
არავითარი პრეტენზია არ განუცხადებია. გავიდა თითქმის ორი წელი
და ჩვენთან 1988 წლის მარტში მოვიდა, თან განაცხადა — საქონი-
დატო დისერტაცია დავიცავი და გთხოვთ სამუშაო მიმოცეთო. იქვე
ისიც აღნიშნა, რომ დისერტაცია ჯერ დამტკიცებული არა მაქვსო.
ჩვენ შევასხენეთ, რომ 1985 წელს, საშტატო ერთეულების უქონ-

ლობის გამო, იგი მისივე კათედრის დანარჩენ 2 ასპირანტურადამთავრებულთან ერთად (ინსტიტუტში კი საერთოდ 10 ასპირანტი დარჩა გაუნაწილებელი) სამუშაოზე განაწილების გარეშე დარჩა. აი, ამის შემდეგ აგორდა საჩივრების გორგალი. ო. გოგილაშვილის განცხადებებით აივსო რესპუბლიკის მრავალი დაწესებულება. ეს ცალკეა და თქვენს ფელეტონშიც არის აღნიშნული, მაგრამ ყველა, რასაკვირველია, არ არის მოხსენიებული.

რაკილა ო. გოგილაშვილმა საჩივრების კორიანტელი დააყენა, მისი საკანდიდატო დისერტაციის ბელთი დავინტერესდით, დავუკავშირდით იმ სამეცნიერო დაწესებულებას, რომელშიც ო. გოგილაშვილის ცნობით, შესდგა მისი დისერტაციის დაცვა. ეს დაწესებულება სამშენებლო კონსტრუქციების დაპროექტების ცენტრალური სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი (ქ. მოსკოვი). ინსტიტუტმა ოფიციალურად შემდეგი გვაცნობა: ო. გოგილაშვილის დისერტაციის დაცვა 1987 წლის 10 დეკემბრისათვის იყო დაინშნული. დაცვა სინამდვილეში არ შემდგარა, რადგან სპეციალიზებული სამეცნიერო საბჭომ წინასწარი განხილვის პროცესში დისერტაციის ცალკეული საკითხის დაუსტება მოითხოვა. ამის გამო დისერტაციის დაცვა ჯერ გადაიდო, შემდეგ კი საერთოდ აღარ შემდგარა.

მიუხედავად აღნიშნულისა ჩვენ, ო. გოგილაშვილს, მაინც შევთავაზეთ სამსახური. ეს იყო მეცნიერი კაცისათვის ფრიად უპირანი საქმე — სამეურნეო-სახელმწიკრულეზო თემაზე მუშაობა. ო. გოგილაშვილმა კატეგორიული უარი გავაცხადა იმ მოტივით, რომ სამეცნიერო თემაზე მუშაობა დროებითად და თბილისში ჩაწერის უფლებას არ იძლევა. იგი კვლავ უმცროსი მეცნიერ-თანამშრომლის საშტატო ერთეულს მოითხოვდა, თან საჩივრების წერას განაგრძობდა.

ჩვენ კვლავ დათმობაზე წავედით. როგორც ფელეტონის ავტორებიც აღნიშნავენ, შუამდგომლობაც აღეძარით ო. გოგილაშვილის თბილისში ჩაწერის თაობაზე და შესაბამისი საშტატო ერთეულის მიცემასაც დაეპირდით.

ალბათ ბრძანებთ, რომ ეს გადაწყვეტილება თქვენი ჟურნალის რედაქციის დანიტერესებამ განაპირობა. რასაკვირველია, თქვენა თანამშრომლების დანიტერესებასაც ვეცით პატივი, მაგრამ ჩვენთვის ამ შემთხვევაში მთავარი იყო საკავშირო სახელმწიფო ენერგეტკული სისტემებისა და ელექტროტექნიკის საპროექტო-კვლევითი და სამეცნიერო-საძიებო ინსტიტუტის „ენერგოსეტპროექტის“ მიერ გაცემული აქტი, სადაც აღნიშნულია, რომ ო. გოგილაშვილის სადისერტაციო ნაშრომის შედეგების დანერგვას მნიშვნელოვანი ეკონომიური ეფექტის მოტანა შეუძლიათ.

დაბოლოს, ო. გოგილაშვილს სახალხო ფრონტის წარმომადგენლებთან, ჩვენი უნივერსიტეტის სამშენებლო ფაკულტეტის დეკანთან, კათედრის გამგებთან საუბრის დროს განეცხადა, რომ ინსტიტუტი (მაშინაც და ესლაც) თანახმაა, რომ ო. გოგილაშვილის სასარგებლოდ (მისი თბილისში ჩაწერისათვის) გაიდოს 18.000 მანეთი თუ რომელიმე კათედრა ან ლაბორატორია ისურვებს მის სამუშაოზე მიღებას. არც ერთმა კათედრამ არ ისურვა ო. გოგილაშვილთან თანამშრომლობა. თავიანთი პოზილია მათ წერილობითაც დაგვიდასტურეს. მეტი დამარწმუნებლობისათვის ამ კოლექტიური განცხადების ასლსაც გაახლებთ. ასეთი გახლავთ საქმის ნამდვილი ვითარება.

დაბოლოს, თვით ო. გოგილაშვილმა არ გამოიყენა საკითხის ოფიციალური მხარე, მას შეეძლო, მიუხედავად მისი ჩვენდამი უკმაყოფილებისა, მონაწილეობა მიეღო გამოცხადებულ კონკურსებში, მისთვის სასურველი სამეცნიერო თანამდებობის დასაკავებლად, რომელიც ასე მრავლად ქვეყნდება რესპუბლიკურ პრესაში.

უარყოფით. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორი აყადემიის წევრ-კორესპონდენტი ბატ. გ. ჩოგოვაძე თავის მოვალეობის შესრულებას შეუდგა ერთი წლის წინ. ჩვენთვის გაუგებარია ო. გოგილაშვილის პრეტენზიები მის მიმართ, ხუთი წლის უმუშევრობის შემდეგ ხებ. ჩვენი აზრით მისი პრეტენზიები რექტორის მიმართ საფუძველსაა მოკლებული.

განცხადებას ჩვენივე სურვილით, ყოველგვარი ძალდატანების გარეშე ვაწერთ ხელს სამშენებლო ფაკულტეტის დეკანთან ერთად.

სამშენებლო ფაკულტეტის დეკანი დოც. რ. ი. იმედაძე, „სახალხო გამგეობისა და დრეკადობის თეორიის“ კათედრის გამგე, პროფესორი ა. ა. ლოსხაბერიძე, „სამშენებლო კონსტრუქციების“ კათედრის გამგე, დოც. ვ. ვ. მიქმარიაშვილი, „მშენებლობის ორგანიზაციის და ეკონომიკის“ კათ. გამგე პროფესორი ბ. ბ. ზანტუაშვილი, „გრუნტების მექანიკის და ფუძე-საძირკვლების“ კათ. გამგე პროფესორი ბ. ი. ზონდელიძე, „სამშენებლო მექანიკის“ კათ. გამგე, დოცენტი ნ. პ. ჟარაშვილი, „სამშენებლო მექანიკის“ კათ. გამგე, დოცენტი მ. შილაბაძე, „ლითონის კონსტრუქციების“ კათ. გამგე, პროფესორი ბ. ბ. მსხილაძე, „რკინა ბეტონის კონსტრუქციების“ კათ. გამგე, დოცენტი ლ. ო. გველესინანი, „სამშენებლო წარმოების ტექნოლოგიის“ კათ. გამგე, პროფესორი თ. ბ. ქორღაწარაძე, „სამშენებლო მასალებისა და ნაკეთობების“ კათ. გამგე, პროფესორი ბ. დ. ნადირაძე, „მართვის ავტომატიზირებული სისტემების“ კათ. გამგე, დოცენტი ი. შ. ვერულაძე.

პარტის პაპალი

ისევ ანბანიდან ვიწყებთ? რა გავწყობა, ბატონებო, რაკი ხმლები შეგდებოლეთ და სიმართლეს გვედავებით, დავიწყობთ ანბანიდან ანუ იმ და იანიდან!.. იმ და იანი ძველი ჩინური ფილოსოფიის ცნებებია, „ცვლილებათა წიგნი“ ისინი გამოიყენებოდნენ ბუნების ნათელი და ბნელი, მაგარი და რბილი საწყისების გამოსახატავად.

რადგან ფელეტონში „ბიუროკრატული ტრიპი“ („ინანგი“ № 4) ჩვენი სიმართლე ქართულად საკმაოდ გასაგებად ვერ გამოვხატეთ, შევეცდებით ჩინური სიმბოლიკის დახმარებით მაინც გავარკვიოთ, თუ ვინ არის ინი და ვინ — იანი, ვინ არის მტყუანი და ვინ არის მართალი!

ჩვენ შორს ვართ იმ აზრისაგან, რომ უმაღლეს სასწავლებლებში სტუდენტთა სწავლება და მათი ამა თუ იმ პროფილის სპეციალისტებად ჩამოყალიბება წიწილების გამოჩეკვას და მათ დაფრთხილებას შევადარებთ, მაგრამ ამ უეცარმა თუ უეცარმა ანალოგიამ ქვენა ქარივით მაშინ წამოგვიქროლა, როცა ჩვენი „ცალკეობით“ განაწყენებული პატივცემული მეცნიერების წერილს გავვცანიით, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტიდან რომ მოგვივიდა.

წერილი ჯერ ბოლომდე არ ჩაგვეკითხა. რომ ანაზღად მამალმა დაგვეცვლა თავზე და დაფეთებულები მალა აგვახედა. ვერ ვიცანით და გავვიკვირდა კიდევ, ეს რა „პტიჩკა“ მოფრენილა, ფორმალიზმის რომელიმე ლაბირინთიდან ხომ არ ამოფრინდაო?!

მარტის მამალი ვარო, — გავვეცნო, — მაგ წერილიდან ამოვფრინდით, — ხელმოვრედ დაგვეცვლა თავზე და ფრთებიც დაფართხუნა, — მეც „პტიჩკა“ ვარ და ეს წერილიც „პტიჩკის“ გულისათვის არის დაწერილი!

ჯერ ისე რეპლიკა რა არის, მამლის რეპლიკა რაღა უნდა იყოს, მაგრამ მაინც დავინტერესდით და მეტი ყურადღებით მოვეკიდეთ, როგორც ზემოთ გამოქვეყნებული წერილის ტექსტს, ასევე მის ქვეტექსტსაც.

წერილს ხელს აწერს საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პრორექტორი, პროფესორი ა. ნოზაძე. თანდართული კოლექტიური განცხადება გვაფიქრებინებს, რომ როგორც განცხადების, ასევე წერილის ავტორადაც მეცნიერთა ჯგუფი ვიგულისხმობთ.

წერილის იმ ნაწილს, სადაც აღწერილია, თუ როგორ წავიდა ამ უმაღლესი სასწავლებლის ასპირანტი ო. გოგილაშვილი რუსეთში საკანდიდატო დისერტაციის დასავად და რა დროს დაბრუნდა იქიდან, არსებითი მნიშვნელობა არა აქვს და არც შეეგებებით.

უფრო მეტად საინტერესო ფაქტებს მომდევნო ნაწილი შეიცავს: გარკვეულია, რომ მოსკოვის ერთ-ერთ სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში 1987 წლის 10 დეკემბრისათვის დაინიშნა დისერტაციის დაცვა. მაგრამ იგი არ შემდგარა. ასპირანტურადამთავრებული ო. გოგილაშვილი კი სამსახურს ითხოვს და რომ ვერ ღებულა, საჩივრების კორიანტელს აყენებს!.. „მიუხედავად აღნიშნულისა — წერილის მენციონები, — ჩვენ, ო. გოგილაშვილს მაინც შევთავაზებთ სამსახურ-

რი. ეს იყო მეცნიერი კაცისათვის ფრიალ უპირაინი საქმე — სამეურ-
ნეო-სახელმწიფოებო თემაზე მუშაობა“.

აქ მარტის მამალმა თავზე დაგეხაეა და მუშაობა შეგვწყვე-
ტინა. როგორ ვერ ხვდებითო, — დაგეხაოდა, — რომ ეს უკვე აკრ-
ძალული ხერხებით თავის დაცვას ჰკავს. მამლების კრივში ამის გუ-
ლისათვის რინგიდან ამევებენო!

მართლაც, ასპირანტი საშტატო ერთეულის დაკავებაზე აცხა-
დებს პრეტენზიას და ეს გასაგებიცაა: მას ხომ თბილისში დროებითი
ჩაწერის ვალა გაუვიდა და მექანიკურად წაერთვა ქალაქში ცხოვრე-
ბის უფლება?! მხოლოდ ის თუ გადაარჩენს, რომ მშობლიურმა უმაღ-
ლესმა სასწავლებელმა მისცეს მედივი სამსახური და აღძრას შუა-
მდგომლობა ზემდგომი ორგანოების წინაშე თბილისში მისი ჩაწერის
თაობაზე. მის კი დროებით დავალება სთავაზობენ. ეს უკვე სხვა
იარა და სხვა იპერიდან. შეიძლება, კაცი ბორჩალოში ცხოვრობდეს,
თბილისში კი „თემაში იჯდე“. მაგრამ თემას რომ მორჩები, კვლავ
ბორჩალოვად რჩები!

პატივცემული მეცნიერები კი ხელეხს შლიან და ჰკვირობენ,
წარმოგიდგენიან, ო. გოგილაშვილი კატეგორიული უარს გაგვი-
ცხადა, იგი კვლავ უმცროსი მედივი-თანამშრომლის საშტატო ერთე-
ულს მოითხოვდა, თან საჩივრების წერას განაგრძობდა.

ძალიან გვიანტერესებს, წერალოს ავტორებს ნეტავი გუნებაში
მიანც არ ეცინებოდათ, როცა ამისთანა ბავშვურ სათამაშოს არგუ-
მენტად იყენებდნენ?

გასულ წაფხულს. როცა ამ საჩივრის განსახილველად ბატონ
ა. ნოზაძის კაბინეტში შევხვდით რექტორატის წამყვან თანამშრომ-
ლებს და თითქმის ორი საათი მოვანდომეთ საკითხის პრაქტიკულ გა-
დებებს, გულახდილად რამ ვთქვათ, ყველაზე ძალიან პროფესორი
ა. ნოზაძე მოგვეწონა თავისი პრინციპულობით, სწორად შერჩეული
პოზიციით, ადამიანურობით. აი, როგორ შეაფასა მან მამის თავისი

ასპირანტი: „ო. გოგილაშვილის სადისერტაციო ნაშრომის შედეგები
დასაბუთებულია სახალხო მურჩეობაში, კერძოდ კი საქართველოში და
ტიუმენის ოლქში... აღნიშნული სახალხო იძლევა 250 ათასი მანეთის

ეკონომიას ელექტროგადამცემის ხაზის ყოველ 100 კილომეტრზე,
რაც ფრიალ დადებითად და სრულყოფილად ახასიათებს მის ავტორს“.

მით უფრო დაუჭირებლად გვეჩვენება, რომ მისვე ეკუთვნის ქვე-
მოთ მოტანილი სიტყვებიც ახლანდელი წერილიდან: „ჩვენ კვლავ
დათმობაზე წავედით. როგორც ფელეტონის ავტორებიც აღნიშნავენ,
შუამდგომლობაც ავდმარით ო. გოგილაშვილის თბილისში ჩაწერის
თაობაზე და შესაბამისი საშტატო ერთეულის მიცემაზეც დავაპირდით“.

აქ ერთხელ კიდევ დაიყვლა მარტის მამალმა, — ხედავთ?! კი
ჰქონიან შესაძლებლობა, რომ წყალწაღებული გადაერჩინათ, მაგრამ
პრინციპულად არ აკეთებდნენ ამას!

„აღბათ ბრძანებთ, რომ ეს გადაწყვეტილება თქვენი შურნალის
რედაქციის დაინტერესებამ განაპირობაო. რასაკვირველია, თქვენნი
შურნალის თანამშრომლებს დაინტერესებდაც ვეცით პატივი...“

აქ მარტის მამალმა ყვირილი და ფრთხილ ფართხუნი ერთად ატე-
ხა, — ხედავთ, ღრუბლსავით ტბილგარსიან შხამს როგორ გაულაპე-
ბენ?! თუ არა შხამი, მამ, რა უნდა იყოს ეგ და ინტერესებდა,
თუ ვაქცავებ ხართ, კარგად ჩაეძიეთო!

„...მაგრამ ჩვენთვის ამ შემთხვევაში მთავარი იყო საკავშირო სა-
ხელმწიფო ენერგეტიკული ნისტემების და ელექტროტექნიკის სა-
პროექტო-საკვლევო და სამეცნიერო-საძიებო ინსტიტუტის „ენერგო-
სექტორების“ მიერ გაცემული აქტი, ხალაც აღნიშნულია, რომ
ო. გოგილაშვილის სადისერტაციო ნაშრომის შედეგების დაწერვას
მნიშვნელოვანი ეკონომიური ეფექტის მოტანა შეუძლიაო“.

აქ მარტის მამალს ყვილისაგან ხმა ჩაებლია, — რატომ ქვე-
ტეპსტ არ აკე-რდებით, პატივცემული მეცნიერები ამ ადგილას ორ
კურდღელს ერთად კლავენ, ჯერ თქვენს „დაინტერესებას“ სცეს პა-
ტივი, თან, ეშმაკმა იცის, რა საწებელი ჩადეს ამ „დაინტერესებაში“
(აღბათ მოკლული კურდღლის ხორცისთვის თუ სჭირდებათ). მერე
ზემოაღნიშნული ინსტიტუტის აქტს გაუწიეს ანგარიში, ვითომ მხო-
ლოდ ახლა ჰიხდნენ, რომ ო. გოგილაშვილისგან შეიძლება კარგი
მეცნიერი დადგესო.

ეს მეორე კურდღელი თავიანთ სამეცნიერო პრესტიჟს შესწირეს
ზეარაკად, — ფრთხილად იყავით, მესამე კურდღლის მოკლასაც
აპირებენო!

„დაბოლოს, ო. გოგილაშვილს სახალხო ფრონტის წარმომადგენ-

ლებთან, ჩვენი უნივერსიტეტის სამშენებლო ფაკულტეტის დეკანთან,
კათედრის გამგებთან საუბრის დროს განეცხადა, რომ ინსტიტუტი
(მაშინაც და ეხლაც) თანახმაა, რომ ო. გოგილაშვილის სახელმწიფო
(მისი თბილისში ჩაწერისათვის) გაიღოს 18.000 მანეთი, თუ რომელი-
მე კათედრა ან ლაბორატორია ისურვებს მის სამუშაოზე მიღებას.
არც ერთმა კათედრამ არ ისურვა ო. გოგილაშვილთან თანამშრომ-
ლობა. თავიანთი პოზიცია მათ წერილობითად დაგვიდასტურეს“.

აი, თურმე რომელ მესამე კურდღელზე გვაფრთხილებდა მარტის
მამალი..

ღმერთო, შეგცოდეთ! ეს რა გვესმის?! კი მაგრამ, პატივცემული
მეცნიერებო, ერის ხვალისდელი დღის — ჩვენი ახალგაზრდობის —
ჰკვიანო აღმზრდელებო, გეკადრებათ ასეთი აბრუნდები?!

მაშინაც და ეხლაც, ჩვენი პოზიცია ეს იყო, კი ჩაგწერთ, მაგრამ,
კიდევ რომ ჩაგწერთ, მაინც არ გამუშავებთ და, აბა, ასეთ ჩაწერას
რალა აზრი აქვსო, რომ წერთ, თუ თავიდანვე ასე გქონდათ გადა-
წყვეტილი, მაშ, როგორღა ეცით პატივი ჩვენს „დაინტერესებას“ ან
საკავშირო სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის აქტს? ნუთუ, პრო-
რექტორ ა. ნოზაძის კაბინეტში ჩვენს მიერ ერთობლივად მიღებული
გადაწყვეტილება ფიქცია იყო?!

თქვენ ამ წერილით უნებურად გაამკლავეთ თქვენი პოზიცია —
თავიანვე გადაწყვეტილი გქონდათ, არამც და არამც არ შეგეშვათ
ო. გოგილაშვილი ახალგაზრდა მეცნიერთა კადრების საძველოში,
მის კარს ამკრძალავი რეზოლუციები დააქედეთ!

თქვენს წერილს თანდართული აქვს „საქართველოს ტექნიკური
უნივერსიტეტის სამშენებლო ფაკულტეტის კათედრის გამგების და
დეკანის კოლექტიური განცხადება“, რაც სხვა არაფერია, თუ არა
რექტორთან დაქვემდებარებულ ძალთა საბრძოლო მზადყოფნის დე-
მონსტრაცია!

პატივცემულ მეცნიერებს ჩვენგან არ ესწავლებათ, რომ ნებისმი-
ერი გადაწყვეტილება სათანადოდ მოტივირებული და მეცნიერულად
დასაბუთებული უნდა იყოს და დიქტატის, მით უფრო „დეტანტის“
შთაბუქილებას არ უნდა ტოვებდეს!

ეს განცხადება კი თავისი პათოსით ავტორიტარული რეჟიმისდრო-
ინდელ ერთ ანეკდოტურ ამბავს გვაგონებს:

ერთ დაწესებულებაში თავი მოუყარეს თანამშრომლებს და გამო-
უცხადეს, ხვალ დილით აქ შევიკრიბებით, ქვეყნის ინტერესები მო-
ითხოვს, ყველანი უნდა ჩამოგახრხოთო! გასაგებიაო? — შეეკითხა
ხელმძღვანელი, გასაგებიაო! — ერთხმად შესძახეს ერთგულმა თან-
მშრომლებმა. მათგან მხოლოდ ერთს დაეხდა კითხვა და მოკრძაღ-
ებით ასწრა ხელი, — თოკები აქ დაგვხვდება, თუ თან უნდა ვიქო-
ნიოთო?

ამ განცხადებას ხელს აწერენ ის მეცნიერებიც, ვისაც არავითარი
საქმიანი კონტაქტი არ ჰქონიათ ო. გოგილაშვილთან.

სამშენებლო მექანიკის კათედრის გამგე, დოცენტი მ. შილაკიძე
1989 წლის თებერვლის თვიდან მუშაობს ამ თანამდებობაზე, ხლო
სამშენებლო წარმოების ტექნოლოგიის კათედრის გამგე, პროფესორი
თ. ყორღანია — 1987 წლის დეკემბრიდან. ისინი სოლიდარობის გა-
მო ყოფენ ყულფში თავს და ამ ურასოლიდარობით, აღბათ, ამყო-
ბენ კიდევ!

ახლა კი იმაზე, თუ საიდან მოფრინდა მარტის მამალი და რატომ
დაგვეყივს თავზე:

მამალი, საერთოდ, კინკლავის სიმბოლოა, ჩვენ კი საამისო რა
შეგავტყო?

თუ არ ვცდებით, ჩვენს დავაში საკამათო ეთიკა არ დარღვეულა
არც ადრე და არც ახლა.

მარტის მამალი კი მაინც დაგვეყივს თავზე, თითქოს რალაცას
გეკარანახობს.

მარტის მამალი წარმოშობით შემოდგომაზე გამოჩეკილი წიწილე-
ბიდანაა. ზამთარგამოვლილი, იგი, მარტში უკვე საკმაოდ წამოზრდი-
ლია, ყვილისაც ცდილობს და მამლის მოვალეობის შესრულებასაც.

ამის გამო მას ძალიან ემტერებთან ხნიერი მამლები, სადაც წაასწ-
რებენ, უნიკარტებენ, ბიბლოსაც უძიძგნიან და სხვა რამეებსაც!..
სე არ დაგვემართოს, ბატონებო!

მანი სინარულიძე
ელგუჯა მირაზიშვილი





ფოქსანდრო კახიანი



საბჭოთა და იუმორის
შარხალი „ნიანგი“ № 12
(1814). იენისი. გამო-
დის 1923 წლის იენისიდან.

მთავარი რედაქტორი
ზაურ ბოლქვაძე

სარედაქციო კოლეგია:

აბოთანილი ადიშვილი
(პასუხისმგებელი მდივანი),
ქიხუა ამირჯიბი, ნომილი
ხართია, ჩევა თვარაძე,
ქემალი ლოლა (მხატვარ-
რედაქტორი). ნოდარ მალი-
ზონია, ალექსანდრე სამო-
ნია, ბეჯან სიხარულიძე
(მთავარი რედაქტორის მო-
ადგილე), ჯანსუღ ჩარკვი-
ანი, თამაზ წიგწიძე.

ტექნიკური რედაქტორი
ირაკლი ღუნღუა

გადაეცა ასაწყობად
16. 05. 90 წ. ხელმოწერი-
ლია დასაბეჭდად 22. 06.
90 წ. ქალედის ზომა
60x90/8, ფიზიკური ნახე-
ჭდი ფურცელი 1,5. სალ-
რიცხო-საგამომცემლო თა-
ბაში 1,9. საქართველოს კმ
კუ-ის გამომცემლობა,
მ. კოსტავას ქ. № 14. შეკვ.
№ 1186. უე 07059. ტირაჟი
125.000. ყურნალი გამოდის
თვეში ორჯერ. რედაქციაში
შემოსული მასალები ავ-
ტორებს არ უბრუნდებათ.

ჩენი მისამართი: 880088,
თბილისი-8, რუსთაველის
ბროსაქტი № 48.

ტელეფონები: მთავარი
რედაქტორის — 99-55-54,
მთ. რედ. მოადგილის —
93-19-42, პ/მ მდივნის —
93-10-78, მხატვარ-რედაქ-
ტორის — 99-02-38, გან-
ყოფილებათა გამგებების —
93-49-32, რედაქტორ-ლიტ-
მუშაეების — 99-02-38,
მდივან-მე მანქანის —
99-76-69.

Сатирико - юмористиче-
ский журнал «НИАН-
ГИ» (На грузинском
языке). Тбилиси, пр. Ру-
стасели № 42. Издаель-
ство ЦК КП Грузии,
ордена Трудового Крас-
ного Знамени типогра-
фия издательства ЦК
КП Грузии, Тбилиси,
ул. М. Куставა № 14.

ფასი 20 კპ.

ინდექსი 76187

დაწვებინებულნი ქართველები

მაცდურ ნიადაგზე თავდადება,
მერე არაფრით არ გვეთმობა:
გამოგონებული თავდადება,
გამოგონებული ერთობა!

ფონი ტბილ სიტყვაში გვეგულება,
გასწვდეს ანგელოზს და სატანას:
მიახლოებითი ერთგულება,
მიახლოებითი გატანა!

რეკავს: გადავურჩით შურს და მტრობას,
ვერსად წავუვართ და დაგვცოფავს
დაწვებინებული ქართველობა,
დაწვებინებული კაცობა!..

ვ ა ი უ ფ რ ო ს ი

რახს!.. კიდეგ რახს!.. და შემოგვცვს
მალაღწე, მაგრამ გიწამლებს?!
ახლა „მუშაობ“ გემოზე,
რახან ჩაწყობა ისწავლე!

ყალბად მოქარგულ ყალბ ზურნებს
და ყალბ ლოწონგებს თავს გვახვევს!
ცოტა ზვალეზეც იწურუნე,
რამეთუ ზვალეც თვალს ახელს!

ეს შეგონება გემწარა? —
მაშ, ყოფნას ნუ ჩაიმწარებ!
ცოტა კაცობაც გესწავლე,
თუ უფროსობა ისწავლე!?

დღე თავის სახელს დაირქმევს,
კვალში ჩამდგარი წალიკად.
სხვის ბეღზე ხელს ნუ ჩაიქნევს,
რახან შენს თავზე თავს იკლავ!

თუ კახაბრობას ვერ იწამ,
კახაბრის სახელს ნურც ირქმევ!
ცოტა სინდისზეც გეფიქრა,
თუ ფულზე ბევრი იფიქრე!

იხე ჩანს, ეს საუკუნე
არ „დაგვამადლის“ მოხვედრებს!
ბევრს რომ ცხვირის წინ უყურებ,
სულ ცოტა ჩრდილსაც მოხედე!..

მ ი შ ბ ა დ ვ ე ლ ს

რამ დაგხაჯა, — გაპყურებდე
შენს გახაველს სხვისი — კალით?!
შენი პური არ პურობდეს,
არა წულობდეს შენი წყალი!

თან ისა ხარ, თან არცა ხარ,
რომ არ იყო, გაგიტლები!..
სხვისი ღმერთის გზას ადგახარ
ნახსენებარ ნაბიჯებით!

სხვისი რწმენით ზვალეს ელი,
სხვისი ეფსებით ხელებს ილლი!
შენი ლოცვა, შენი ცრემლი
არ გაქვს, ანდა არად გიღირს!

საკუთარიტ სწუხ და ბრაზობ,
სხვისით კიდეგ არა გიშვავს!
შენი ოქრო ჩაღად ფახობს,
მისი ჩაღა ოქროდ გიჩანს!

რას დაგაკლებს ზიზღის სახრი?
ეს გაქვს დიდად გასახარი:
სხვის სხეულში გადასახლდე
შენი ბარგით და ბარხანით!

შენს თავს ტანჯავ გაჩერებით:
დგომით, სიტყვით, ნაფიქრალით!..
სხვა რა გითხრა? — გაქვს ქცევები
სხვისი, ანუ ნახსენებარ!

ბ ა რ კ ე ბ უ ლ ი კ ა ს ი ს შ ი რ კ ე ბ ი

ეს გზაც მიწამდე თუ მივა,
სხვაზე ნაკლები რითი ვარ?!
მე ორს პლუს ორი ყური მაქვს
და ორჯერ ოცი თითი მაქვს!

ჩემი მზეც ცაზე ეტევა
და დღეს უნათებს ბარე ორს!
აი, პავლესთან პეტრე ვარ,
ხოლო პეტრესთან — ვპავლემობ!

ყველას იმედით დაგყურებთ
ასატან-გადასატანად!..
სანთელს ვუნთებ და ვმსახურებ
აქეთ ღმერთს, იქით სატანას!

ორჯერ ვალში ვარ წარსულთან,
მომდევს ლოცვად და ყვირილად!
სხვის საქმეებში სადურთად
ერთის წილ ორი ცხვირი მაქვს!

აქ გძმობ, იქ ეშმას ვაცივებ,
პირზე თაფლს ვაცივებ საქმეთა!
აქ ვიღებ, იქ კი ვაცივებ,
იქითაც ვარ და აქეთაც!

წლები ცას გადაუფრენენ,
წყალიც წყალისას ჩაიტანს!..
ორ გულს ვხარჯავ და ვუთენებ
ორ ბედად გაჭრილ ღამის ტანს!

გავტკივებ ორის ანარეკლს
გზას — ერთი კაცით გაუვალს!
საქმეს თუ ორ ხელს დავაკლებ,
ორჯერ ორს საღა წაუვა?!

ღამეც არ სძინავს, ჩანს, ეშმას,
რახაც ჩავსძახებ, ის იხმის!..
იქ მის გულს ვალხენ, აქ შენსას,
შენიცა ვარ და... იმისიც!

ღმერთი ან კაცი შემარგებს
ამ „სათნო“ ნიჭის გაკვეთას!
ორის მაგიერ ოთხ თვალს ვგეშ
სათვალთვალოდ და საქვრეტად!

ჩემს თავს ვეშობი ხიშხიშით,
რაც კი თქვენს წილად ვითმინე!
სატირალია — ვიცინი,
სასაცილოა — ვკვიითინებ!

სიხბლი დულს დაუოკები,
ცხოვრება მიჩანს ქორწილად!
ბოლოს, როდესაც მოგვკვდები,
სატყივარს მოგვამთ ორწილად!